საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1516 2017 წლის 21 ივლისი ქ. თბილისი

„Clean Energy Invest AS"-ის მიერ საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ საბანკო გარანტიის წარდგენის თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია საქართველოს მთავრობას, „Clean Energy Invest AS"-სა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას" შორის 2014 წლის 13 ოქტომბერს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით შპს „Clean Energy Invest AS"-ის მიერ განახლებული საბანკო გარანტიის (ოდენობა: 3,112,500.00 აშშ დოლარი, გარანტი: „Handelsbanken", #123827-94899104026) საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ წარდგენის თაობაზე.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის გათვალისწინებით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ უზრუნველყოს „Clean Energy Invest AS"-ის მიერ საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ წარდგენილი არსებული საბანკო გარანტიის (3,112,500.00 აშშ დოლარი, გარანტი: „Handelsbanken", #123032-94899103860) დაბრუნება.

3. ამ განკარგულების მეორე პუნქტში განსაზღვრული საბანკო გარანტიის დაბრუნების თაობაზე გარანტიის გამცემ ბანკში წარსადგენ შესაბამის წერილზე საქართველოს მთავრობის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**